ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3670642

ნომერი: AR1549849

თარიღი : 17.10.2017

გაცემის თარიღი : 09.11.2017

გაცნობის თარიღი : 09.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N37-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , მოედანი ვარდების რევოლუცია , (ნაკვ.01/007) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზ სხირტლაძე პ/ნ 01008014126
- თბილისი, ქუთათელაძის #2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილ თქვენს 17/10/2017 წლის AR1549849 განაცხადთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ განცხადება და

თანდართული დოკუმენტები განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ(ოქმი N43; 26.10.2017წ.), რომლის რეკომენდაციის საფუძველზე მიეცა დადებითი შეფასება ქ.თბილისში, რუსთაველის გამზ. N37-ის მიმდებარედ/ვარდების რევოლუციის მოედანზე გენერატორის განთავსების საკითხს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია (1.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი N01.15.04.001.021; რეგისტრაციის N 892017067658; 2.არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა; 3.ფოტომონტაჟი) და ადასტურებს აღნიშნულ მისამართზე (წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით) გენერატორის განთავსების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge